ცნობის ფურცელი

V. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 7 ივნისი № 1487

ეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ვრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კანტორაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе"**. ტელეფონი № 372

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა უქმეების გარდა,

დილით:

მ. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ა. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ქალი მ. ბ. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. ბ. ფელდოროვი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სალოსტაქრო—12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ვ. მელიქოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევა 5—6 საათზე.

ალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრავატი 4 მან. დღე და ღამეში, ერთი კრავატი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის ნება-რთვით, სოფ. ჭიათურაში, შორაპნის მაზრის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს ხარჯით, 1901 წლის 1-ლ ივლისიდან გაიხსნება უფასო კურსები სამთო-მადნო ხელოვნებისა იმათთვის, ვისაც ჰსურს პასუხის გება იკისროს ხოლმე, რომ სამთომადნეების სამუშაოს წესიერად აწარმოვებს.

ვისაც ჰსურს კურსებზე შესვლა, თხოვნა უნდა მიართვას კურსების გამგეს, ინჟინერს პ. ა. მარკოვსკის, სოფ. ჭიათურაში და ამასთანავე უნდა წარუდგინოს საბუთები, რომლითაც მტკიცდება მისი პიროვნება. კურსებზე შესვლის მსურველს მოეთხოვება რუსულის ენის ცოდნა, რუსული კითხვა და წერა. კურსებზე მიიღებიან ისინი, ვინც არა ნაკლებ 20 წლისაა; უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინც გამგეა მარგანეცის სამუშაოებისა ან ვინც მსახურებს შორაპნის მარგანეცის მრეწველობაში. (ნ. 3—2)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლეიზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

მთავრობის განკარგულებანი

იმჩერის სტანიცის მეორე გილდის ვაჭარს გაბრიელ კონჭუხიძეს უმაღლესად ებოძა ოქროს მედალი სტანისლავის ლენტით ზედ-წარწერით „ერთგულებისათვის".

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

5 ივნისი.

პეტერბურგი. 5 ივნისის ბიულეტენი: უავგუსტოესი მელოგინე და ახლად დაბადებული კარგად არიან.

2 საათზე პეტერგოფში მობრძანდნენ გატჩინოდან დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება ბლუმფონტეინიდან, რომ უკანასკნელ ცნობის გაგზავნის შემდეგ, მოკლულ იქმნა კიდევ 24 ბური, დაჭრილ იქმნა 14, დატყვევებულ იქმნა 265, თავის ნებით დანებდა ინგლისელთ 165 კაცი; გარდა ამისა, ინგლისელებს ხელში ჩაუვარდა 137 თოფი, დიდძალი სამხედრო მასალა, 198 ურემი, 1500 ცხენი და 3000 მსხვილ-ფეხი საქონელი. აქ არ არის მოხსენებული ბურების ზარალი ელერტის მოქმედების დროს.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტო» ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ დევეტმა, როგორც სჩანს, მხოლოდ ბოლოს დროს დაიყოლია ბურები, რომ იგინი ისევ მის წინამძღოლობით შეუდგნენ მოქმედებას, მაგრამ, სანამ ჯარს შეაგროვებდა, ინგლისელები თავს დაესხნენ და გაჰფანტეს მისი რაზმი.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა დასწია დისკონტი 4-დან $3^1/_2$%-მდე.

ლონდონი. ოფიციალურად გამოცხადდა შემდეგი: უკანასკნელ შეტაკებიდან სჩანს, რომ შეპერის ჯარის ერთმა ნაწილმა დაიპყრო მურასბურგი და გაძარცვა იქაური მაღაზიები. 150 ბური მორიცის წინამძღოლობით გარს შემოერტყა ინგლისელთა სადარაჯო რაზმს, რომელიც 29 კაცისაგან შესდგებოდა; ბურებმა მოჰკლეს 2 ინგლისელი, 2 დასჭრეს და დანარჩენი ტყვედ წაიყვანეს. კაკამარის ოლქში უეცრად გამოჩნდა 200 შეამბოხე, რომელნიც სამხრეთ-დასავლეთისკენ წავიდნენ. სულ დატყვევებულ ბურთა რიცხვი უდრის 19,242 კაცს.

შანხაი. იუნშიკაიმ, დედის სიკვდილის გამო, ჩინეთის ჩვეულების მიხედვით, სამის წლით უნდა შესწყვიტოს სახელმწიფო სამსახური.

კაპშტადტი. მორიცმა ტყვედ წაიყვანა კალვინის მახლობლად ინგლისის სადარაჯო რაზმი.

აუზსიგი. გემზე „ჰამბურგ"-ზე გამართულ სადილისა და ილიუმინაციის დაბოლოვების შემდეგ, იმპერატორი გაემგზავრა ვენაში მინისტრ-პრეზიდენტის თანხლებით. სადგურიდან მოგზაურობა სადღესასწაულო მგზავრობას მოგვაგონებდა. იმპერატორმა ბურგომისტრს და მეფის მოადგილეს გამოუცხადა სრული თავისი სიამოვნება პატრიოტულ მანიფესტაციების გამო და მადლობა უთხრა დახვედრისათვის.

კრონშტადტი. ორჯერ ეცადნენ ბეიერი განედევნათ ზანდრივერპულიდან, სადაც ის ჯერ კიდევ იდგა ბანაკად, მხოლოდ ორი კაცის დატყვევებისა და რამდენიმე საქონლის წაყვანის მეტი ვერა მოახერხა-რა. პოლკოვნიკი გრენფელი, მაკ-მიკინგი, ვილსონი და კოლენბრანდერი ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას.

პარიჟი. «ჰავასის სააგენტო» უსაფუძვლოდ სთვლის გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, ვითომ ფინანსთა მინისტრს შეუტანია მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი საზღვარ-გარედ გასატან შაქარზე პრემიის მოსპობისა, ან შემცირების შესახებ.

„მინისტრთა საბჭო,—იუწყება ჰავასის სააგენტო,—წინანდებურად იმ აზრისაა, რომ, როცა გასატან შაქარზე მისაცემ პრემიის საქმეს სწყვეტავენ, მხედველობაში უნდა მიიღონ ის მდგომარეობა, რომელშიაც საფრანგეთის შაქრის ქარხნის პატრონები არიან ჩაყენებულნი უცხოეთის ქვეყნებში".

პეკინი. საზღაურის რაოდენობის თაობაზე და აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამსაზღაურს 4% უნდა ჰქონდეს, თითქმის შეთანხმდნენ, მხოლოდ იაპონია აბრკოლებს საქმეს, რადგანაც არ შეუძლიან 5% ნაკლებ გასცეს ფული. ელჩების უმეტესობას ჰსურს, რომ ეს საქმე სასურველად გადასწყდეს. ამერიკის წარმომადგენელმა როკგილმა თანხმობა გამოაცხადა, რომ ბაჟებს 5% მოემატოს, თუ ჩინეთი თანახმა იქნება მდინარე იანძესი და პეიხოს კალაპოტი გააფართოვოს, გასწმინდოს და ბაჟები შესცვალოს. ელჩები დარწმუნებულნი არიან, რომ ყველა უცხოელი ჯარები, საელჩოების დამცველი ჯარის გარდა, აგვისტოს გასულს პეკინიდან გავლენ.

პარიჟი. დღეს მინისტრების საბჭოში, ელისეის სასახლეში ლუბემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც რევუალი ალჟირის გენერალ-გუბერნატორად ინიშნება. დელკასსემ სთქვა, რომ პეკინში ელჩები შეთანხმდნენ იმ საშუალების თაობაზე, რომლითაც ჩინეთმა საზღაური უნდა გადაიხადოს; შეთანხმდნენ აგრეთვე იმის თაობაზედაც, თუ რანაირად უზრუნველ ჰყონ ამ საზღაურის გადახდა.

პრაგა. იმპერატორმა გუბერნატორს რესკრიპტი უბოძა; ამ რესკრიპტში მადლობაა გამოთქმული იმ ერთგულებისათვის, რომელიც ჩეხიის ორმავე ერმა გამოიჩინა. შემდეგ იმედია გამოთქმული, რომ ის ეროვნული ზავი და შეთანხმება, რომელიც მხურვალედა ჰსურს ყველას და რომლის ენაც ორივე ერის დაახლოვებამ გზა გახსნა, მალე ეღირსება ქვეყანასაო.

კილი. დიდის მთავრინას ანასტასია ნიკოლოზის ასულის დაბადების გამო, აქ მდგომმა სამხედრო გემებმა დროშები გაშალეს და 21 ზარბაზანი დასცალეს მილოცვის ნიშნად.

პარიჟი. მინისტრი დელკასსე დღეს კიდე იყო სადარბაზოდ რუსეთის ელჩთან, რომელსაც მძიმე ოპერაცია გაუკეთეს კარბუნკულისაგან. ელჩი რჩება, მაგრამ ექიმებმა ურჩიეს, რომ ორი კვირის განმავლობაში მოსვენებით იყოს.

სარატოვი. ანეულის ყანები და გაზაფხულის ნათესობა ცუდ მდგომარეობაშია.

კიევი. გომელიდან გემით გზათა მინისტრი მოვიდა და უმთავრესი ნავთ-სადგური კარგად დაათვალიერა. 3 საათზე გემით ეკატერინოსლავში წავიდა და გზა-და-გზა ჯაჭვის ხიდი დაათვალიერა კიევის ახლო. დაათვალიერა სხვა ნამუშევარიც.

დიდი სიცხისა და გვალვის შემდეგ, წვიმა მოვიდა და მცენარეულობა გაცოცხლდა. წვიმა ხელს უწყობს ნათესობას. ამბავი მოდის, რომ კიევის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილებშიაც მოვიდა წვიმაო. პურის ყანები ცუდ მდგომარეობაშია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. სენატი იხილავს მთავრობის კანონ-პროექტს კონგრეგაციების შესახებ. ამბობენ, რომ სენატორებს გადაწყვეტილი აქვთ ძალიან ჩქარა დაამტკიცონ ეს კანონი და ამიტომ გრძელ კამათს მოერიდებიან. მართალია, ოპოზიციამ დამარზალის მეთაურობით 30-ზე მეტი წინადადება შეიტანა ამ პროექტის შესასწორებლად, მაგრამ ყველა ამ წინადადებას თითქმის ერთი და იგივ შინაარსი აქვთ, ამიტომ ამათ გარჩევასაც დიდი დრო არ მოუნდება. კანონ-პროექტის მომხრეები იმედოვნებენ, რომ მის განხილვას რვა სხდომაზე მეტი არ მოუნდებათ. პირველი სხდომის დროს სენატის დარბაზი ძალზედ აივსო ხალხით. კამათი 89 წლის სენატორმა ვალონმა დაიწყო; ამ სენატორს კონსტიტუციის მამას ეძახიან. ვალონმა კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა. „ეს კანონი, ორატორის აზრით, არა თუ მხოლოდ კონგრეგაციებს ეწინააღმდეგება, არამედ კათოლიკე ეკლესიასაც და კონკორდატსაც (სახელმწიფოსა და რომის პაპის შუა ხელ-შეკრულობას). ამთავრობა,—სთქვა ვალონმა,—გვარწმუნებს, რომ მხოლოდ კლერიკალიზმს ებრძვის, ნამდვილად კი თვით სინიდისის თავისუფლებასაც დამხობას უპირებს. სენატმა უნდა უარი სთქვას და არც კი განიხილოს ეს საშიში ღონისძიება." ამის შემდეგ ლაპარაკის ნება მიეცა სენატის კომისიის თავმჯდომარეს კომბას. ეს კომისია ამ კანონ-პროექტის განსახილველად იყო ამორჩეული. კომბამ მოითხოვა, რომ სენატი დაუყოვნებლივ კამათს შესდგომოდა, რადგანაც პალატის სანგრძლივმა მსჯელობამ ამ საგანზე უკვე საკმაოდ გამოარკვია ეს საქმეო. ორატორს ვალდეკ-რუსსო მიემხრო. ამის შემდეგ სენატმა 176 ხმის უმეტესობით, 96 წინააღმდეგ, დაადგინა: კამათი დაუყოვნებლივ დაიწყოსო. მემარცხენენი და ცენტრის დასი ძლიერის ტაშის ცემით მიეგებნენ ამ დადგენილებას. ტრიბუნაზე ავიდა სენატორი დამერზალი და ნამდვილი ბრაზმდებითი სიტყვა წარმოსთქვა კანონ-პროექტის წინააღმდეგ; ამ ორატორმა ყველა ის ჩვეულებრივი საბუთები მოიყვანა, რომლებიც ოპოზიციას მოჰყავდა პალატაში. დამერზალმა აღნიშნა ის ჯვრის გზა, რომლითაც პროექტია გამსჭვალული, დაწვრილებით მოიყვანა სარწმუნოებრივი კონგრეგაციის ღვაწლი და ყურადღება მიაქცია იმ სოციალურ საფრთხეს, რომელსაც ბერების კონგრეგაციების საზოგადოებათა მამულების ჩამორთმევა გამოიწვევს. „თქვენ გინდათ კონგრეგაციების კუთვნილი მილიარდი ხალხს გადუგდოთ და ამით მხოლოდ ანგარების მადას გაუღვიძებთ; მაგრამ რაკი გემოს გაიგებს, ხალხი მოინდომებს, რომ სხვა მილიარდებიც ხელში ჩაიგდოსო,"—სთქვა დამარზელმა. ამით გათავდა სხდომა.

✡ ამ დღეებში რადიკალ დეპუტატთა კონგრესი უნდა გაიხსნას, ხოლო ამ კონგრესის მოსაწყობად ამორჩეული კომიტეტი უკვე შეუდგა თავის საქმის ასრულებას. ამ კომიტეტის შრომაში მონაწილეობას იღებენ გობლე, რომელიც ხელახლად უბრუნდება პოლიტიკურ მოღვაწეობას, ბრისსონი, ბურჟუა, მეზიურესი, იზამბერი და მემარცხენეთა სხვა მეთაურები. მომავალ

კონგრესს დიდი მნიშვნელობა აქვს მით უმეტეს, რომ საზოგადო საპარლამენტო არჩევნებიც მოახლოვებულია. ამ ბოლოს დროს ზომიერებმა მელინისა და რიბოს მეთაურობით მოლაპარაკება გამართეს რადიკალებთან იმ აზრით, რომ მემარცხენეთა ერთი ნაწილი თავიანთ მხარეს გადაიყვანონ. რადიკალთა კონგრესმა, რომელშიაც მემარცხენეთა ყველა დასები მიიღებენ მონაწილეობას, სხვათა შორის, ამ მელინისტების დაქუცსაც უნდა პასუხი მისცეს.

ესპანია. მინისტრ-პრეზიდენტმა საგასტამ სენატორებისა და დეპუტატების კრებაზე პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. საგასტამ სთქვა, არჩევნები სასტიკი კონტროლის ქვეშ უნდა იმართებოდეს, კაპიტალსა და შრომას შუა თანხმობა უნდა სუფევდეს, თანხმობით უნდა ცხოვრობდნენ ეგრეთვე სახელმწიფო და ეკლესიაცაო, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეკლესია სრულიად არ უნდა ერეოდეს სახელმწიფოს საქმეებშიო. მინისტრმა შეუბრალებლად გაჰკიცხა კლერიკალები, რომლებიც მთელს ესპანიაში სიძულვილსა ჰნერგავენო, არ დაინდო ეგრეთვე პარტიკულარისტებიც, რომლებიც ეროვნულ ერთობის იდეას (აზრს) არღვევენო. მთავრობა, — სთქვა შემდეგ მინისტრმა, — ხარჯებს შეამოკლებს, გადასახადების საქმეებში ცვლილებას მოახდენს და სახელმწიფოს ყველა მოვალეებს დააკმაყოფილებს. ორატორმა აცნობა კრებას, რომ ესპანიამ ფული უნდა ისესხოს ქვეყნის გასამაგრებლად და ფლოტის გასაძლიერებლადაო და იმედი გამოსთქვა, რომ ვატიკანი (რომის პაპის ბინაა) არ გააძნელებს სარწმუნოებრივი საქმეების გადაწყვეტასო. კონგრეგაციები, რომლებიც კონკორდატში (რომის პაპთან ხელშეკრულობაში) არ არიან მოხსენებულნი, საზოგადო კანონებს უნდა ექვემდებარებოდნენო.

✿ 11 ივნისს (ახ. სტ.) დედოფალმა რეგენტმა კორტესების პალატა გახსნა. ამ დღესასწაულს დედოფალი უკანასკნელად დაესწრო, რადგანაც მერმისს მეფე სრული წლოვანი გახდება.

იტალია. უკანასკნელმა საყოველთაო ხალხის აღწერამ მეტად საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა იმის მიუხედავად, რომ იტალიიდან დიდძალი ხალხი მიდიოდა საზღვარგარედ დასასახლებლად. 1781 წელს აქეთ მოსახლეობას 7,8 მოჰმატებია და 28,5 მილიონიდან 32,5 მილიონამდე ასულა. საშუალოდ ერთ ოთ კუთხს კილომეტრს ამ ჟამად 113 მცხოვრები ჰხვდება. საყურადღებოა, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ამ ბოლოს წლებში ხალხის რიცხვს უფრო უმატნია; სანამ წინ წლებში: ასე 1861—1881 წ. წ. ყოველ წელს 173.000 სული მომატებია, ხოლო 1881—1901 წ. წ. ეს ციფირები 208,000-მდე ასულა წელიწადში. რომანთა, ანუ ლათინთა მოდგმის არც ერთ სხვა ქვეყანაში არა მატულობს ასე მოსახლეობის რიცხვი. თუ საზღვარ-გარედ მცხოვრებ იტალიელთა რიცხვს 3½ მილიონად ჩავაგდებთ, მაშინ ყველა იტალიელების რიცხვი 36 მილიონი სული გამოვა. არ გავა ათი წელიწადი და იტალია თავის მოსახლეობის რიცხვით არა თუ მხოლოდ მოეწევა, გაუსწრობს კიდეც საფრანგეთს. ყველაზე ძლიერ ხალხს მოჰმატებია აპულიაში, ლიგურიაში და სიცილიაში; ხოლო პიემონტში და ნეაპოლში ცოტათი უმატნია. მოსახლეობის რიცხვს მხოლოდ ბაზალიკატას ოლქში დაჰკლებია; ამ ოლქში ნიადაგ შიმშილია და უსაქმობა, ამიტომ ხალხი მუდამ და განუწყვეტლივ საზღვარ-გარეთ მიდის დასასახლებლად. მოსახლეობას ყველაზე შესამჩნევად კი ლაციუმის ოლქში უმატნია, სადაც, რასაკვირველია, თითონ რომას წყალობით — ერთ ოთხ-კუთხს საჟენზე 133 სული მოდის, ხოლო 1881 წელს კი მარტო—100 სული მოდიოდა.

ბოლგარია. მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარეთ ნამყოფს სარაფოვს, რომელიც ამ ჟამად სოფიაში ციხეშია დაპატიმრებული, დაპარაკი ჰქონია ერთ რუმინიულ გაზეთის თანამშრომელთან. ამ საუბრის შესახებ ეს თანამშრომელი შემდეგს მოგვითხრობს: «სარაფოვი ბოლგარიის მთავრობამ დიპლომატების თაოსნობით დააპატიმრა იმ აზრით, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მშვიდობიანობა არ დარღვეულიყო. სარაფოვი დარწმუნებულია, რომ სასამართლო უსათუოდ სასჯელს გადაუწყვეტს; თუ კიდე მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, არ მიიღებს ამ თანამდებობას, რათა ბოლგარია უსიამოვნებას გადაარჩინოს. სარაფოვს უმჯობესად მიაჩნია თოფით ხელში მაკედონიის თავისუფლებისათვის იბრძოლოს. აჯანყება მაკედონიაში აუცილებელია. სახელმწიფოები უსათუოდ გაერევიან საქმეში და ავტონომიას მისცემენ. სარაფოვმა დასასრულს შენიშნა, რომ მაკედონია თითონ მაკედონიელებს უნდა ეკუთვნოდეს და არა ბოლგარიასაო.

სამხრეთ-აფრიკა. გერმანულ გაზეთებს შემდეგი ცნობა მიუღიათ იოჰანესბურგიდან: ქალაქს ახლო თითქმის ყოველ დღე შეტაკება ხდება. იოჰანესბურგის რამდენიმე მილის მანძილზე, ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც, ბურები ბატონობენო; მთებში გამაგრდნენ და მუდმივ მოსვენებას არ აძლევენ ინგლისელ ჯარებს. თუ დამცველი ჯარი არ გაიყოლიეს, ინგლისელები ფეხს ვერ სდგამენ ქალაქ გარედ. ბურებს გადაწყვეტილი აქვთ სიკვდილამდე იბრძოლონ. ამავე აზრისაა მთავარ-სარდალი ბოტა. დელარეისაც გამოუცხადებია, რომ, სანამ პირში სული მიდგა, ბრძოლაზე ხელს არ ავიღებო.

ახალი ამბავი

◆ წარსულ მარტში შესრულდა 10 წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მეუღლე ოლღა თეოდორეს ასული. რადგანაც გარდაცვალებულს დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე, უმთავრესად ქალთა განათლების საქმეში, ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ დაადგინა, თანახმად ხმოსნის ბ. პ. ვესელოვზოროვის წინადადებისა, უკვდავ ჰყოს დიდის მთავრინას სახელი ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე სასახლის გვერდით ძეგლის აგებით და ორი სტიპენდიის დანიშვნით იმ ქალებისათვის, რომელნიც ტფილისის გიმნაზიას დაასრულებენ და საექიმო ინსტიტუტში შევლენ. ამ ძეგლის აგებისათვის ქალაქი გადასდებს 2,000 მანეთს. დანარჩენ ფულის შესაგროვებლად კი, მთავრობის ნება-რთვით, უნდა გაიმართოს ხელისმოწერა. სტიპენდიებისათვის ქალაქი ყოველ წლივ გადასდებს 800 მანეთს. ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოს.

◆ 30 მაისს, დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. **მელიქიშვილი**.

◆ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია შემოდგომიდან დააწესოს მთელ ამიერ კავკასიაში **საფაბრიკო ინსპექცია**.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისის ვაჭრობა-მრეწველობის კომიტეტს ერთი **საყურადღებო** საქმე განუზრახავს. მას ჰსურს დაწვრილებით გამოიკვლიოს, თუ რა ნაირადაა მოწყეს-რიგებული სამუშაო დღე ტფილისის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში. მასალის შეგროვების შემდეგ, კომიტეტი გაჰმართავს განსაკუთრებულ სხდომებს, რომელზედაც მიწვეული იქნებიან: ამიერ კავკასიის რკინის გზათა სახელოსნოების უფროსი, ტრამვაის საზოგადოების დირექტორი, ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონები და აგრეთვე იმ სახელოსნოების პატრონები, რომლებსაც 100-მდე მუშა ჰყავთ.

◆ **შიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება** თავისს მოქმედებას დაიწყებს, როგორც ამბობენ, 18 ივნისიდან.

◆ **იმავე ბანკის** საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა შორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. სვ. დ. წერეთელი, ხოლო გამგეობის თავმჯდომარედ — ი. ლ. ლორთქიფანიძე; ახალ წევრთა მიმღებ კომიტეტში არჩეულ იქმნენ: ექიმი სვ. დ. ჯაფარიძე, თ. გრ. აბაშიძე, ს. აბესაძე. დარ. გაჩეჩილაძე, კ. მდივანი, კ. წერეთელი, ნ. ოთხმეზური, თ. ილ. რატიანი, კ. ჟღენტი და ი. აბდუშელიშვილი.

◆ ჩვენ გადმოგვცეს შემდეგი **ახირებული ამბავი**: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში გაუგზავნია გურიის ამხანაგობის „შუამავალის" გამგეობისათვის და ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისათვის, ხალხში დასარიგებლად 100 მდე ცალი წიგნი ნ. წერეთლისა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის შესახებ. ეს წიგნი რუსულს ენაზეა და ნეტავი რომელ ხალხს უნდა დაურიგონ ის გურიაში და იმერეთში!.

◆ უფრო გონივრულად მოქცეულა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა. მას ბრძანება გაუცია, რომ, რადგანაც რკინის გზის ლიანდაგზე გადასასვლელ ადგილებზე ხალხის გასაფრთხილებლად დადგმულ ბოძებზედ მარტო რუსულად არის წარწერა „ერიდეთ მატარებელს", ხოლო რადგანაც უმრავლესობამ რუსული ენა არ იცის, ამიტომ უსათუოდ იქვე ბოძებზედ ხსენებული გაფრთხილება აღნიშნულ იქმნეს ყველა ადგილობრივ ენებზედაო.

◆ სამშაბათს, 12 ივნისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის **სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო** კრება, რომელზედაც განსახილველად დანიშნულია საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა ზოგიერთი მიმდინარე საქმეებისა და დასასრულ არჩევანი სასტატისტიკო ბიუროს წევრთა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შარშან კახეთის ვენახის საწამლებლად კუპოროსისა და გოგირდის გასასყიდლად შემდეგს ადგილებში ჰქონდა **სააგენტოები**: ქ. თელავში, სიღნაღში, სოფ. წინანდალში, ველის ციხეში, კაკაბეთში, კარდანახში და ყვარელში; წელს საზოგადოებას ასეთი სააგენტო მხოლოდ ქ. თელავში-ღა ჰქონია და ამას, რაღა თქმა უნდა, ვენახის წამლობის ყველა მსურველთ არ შეუძლია, სიშორისა გამო, თელავიდან გასწვდეს. ამიტომაც ალღო აიღეს ადგილობრივმა ჩარჩებმა, რომელნიც თავისებურ ულმერთო ფასებსართმევენ ხალხს; რასაკვირველია, საქმის ამ ნაირად დაყენება დიდად შეაფერხებს მეურნეთ, რადგანაც, რა-კი დაინახვენ, რომ მამასისხლად იყიდება წამალი, ძალა უნებურად ხელს აიღებენ წამლობაზე. სასურველია, სამეურნეო საზოგადოებამ მომავალ წლებში მაინც იქონიოს საჭირო ადგილებზე სააგენტოები, რათა ხალხს ადვილად და ხელ მისაწვდენად შეეძლოს ბაღ-ვენახების წამლობა.

◆ პეტერბურგიდან გვწერენ, რომ იქ 5 ივნისიდან უნდა დაწყებულიყო სხდომები **კომერციულ სასწავლებელთა** დირექტორებისა, რომელთაც უნდა განიხილონ ამ სასწავლებლებში აღზრდისა და სწავლის გაუმჯობესების საქმე. სხდომებზე დასასწრებლად ტრიესტიდან ჩამოვიდა პეტერბურგში ტფ. კომერციული სასწავლებლის დირექტორი მ. ო. ფიშერი.

◆ **ბაქოს სავაჭრო გიმნაზიაში** წელს კურსი დაუსრულებია არა ერთ ქართველს (მდივანს), როგორც ჩვენ გვატყობინებდნენ ამას წინად; არამედ ორს; მეორე ყოფილა — ზაქ. ხიდირბეგიშვილი, ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებელში, ქალთა მესამე გიმნაზიაში და პირველ სავაჟო გიმნაზიაში ეგზამენები დასრულდება შაბათს, 9 ივნისს.

◆ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება **ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას**, რომელიც განიხილავს შემდეგს საქმეებს: მცირე კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს ტფ. სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ; მოხსენებას ტფ. დედათა საპროფესიონალო სკოლისას, რომ დანიშნულ იქმნენ ეგზამენები თვის ბოლო რიცხვებში; მოხსენებას კომისიის წევრის ლისიციანისას ტფ. სასწავლებელთათვის საპედაგოგიო მუზეუმის დაარსების შესახებ; მოხსენებას სანიტარულ-სამკურნალო საბჭოსას ქალაქის სკოლებში ფიზიკურ ვარჯიშობის შემოღების შესახებ და სხვ. სულ განსახილველად აქვს კომისიას ცხრა [illegible] მემდე.

◆ გუშინ ტფილისში დაბრუნდა ტფილისის კომენდანტი გ[illegible] რეიტერი, რომელიც ბაქოში იყო წას[illegible] დასახედრად.

◆ **ბაქოს გუბერნატორი** გენ.-ლე[illegible] გუშინ წავიდა ტფილისიდან ბაქოში.

◆ ბაქოში ამ მოკლე ხანში დაი[illegible] სხდომები განსაკუთრებულ კომისიის[illegible] მელმაც უნდა გამოიკვლიოს, თუ რა [illegible]ზებით შეფერხდა **თევზის მრეწველო[illegible]** საქმე აღმოსავლეთ-კავკასიაში. ტფილ[illegible] სავაჭრო და სამრეწველო კომიტეტ[illegible] სხდომებზე დასასწრებლად ბაქოში ჰ[illegible] მ. ი. დოლუხანოვს.

◆ გუშინ, ტფილისში ახლად დაარსებულის ნოქართა საურთიერთო დახმარების საზოგადოების დროებით გამგეობამ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ ხსენებული საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას. დროებით გამგეობის წევრები არიან: ა. ა. ქალანთარი, ვ. ლ. პატკოვი, ე. ი. სინელნიკოვი და ტ. ხ. თუმანიანცი.

◆ გუშინ ტრამვაის საზოგადოების დირექტორს რიზინსკის მოუვიდა ბრიუსელიდან ხსენებული საზოგადოების გამგეობის პასუხი ქალაქისათვის ავანსის მიცემის შესახებ. რიზინსკი დღეს შეატყობინებს ქალაქს ამ პასუხს.

◆ 1898 წელში ბაქოს ნავთის მრეწველს ფითოევს და ამხ. მოჰპარეს რამდენისამე ხნის განმავლობაში 400,000 ფუთამდე ნავთი; ამ ბოროტ მოქმედებაში ბრალი დაედვა ნავთის მრეწველს, აწ გარდაცვალებულს რილსკის და მის მოხელეებს ლუნევსკის, ალიხოვსკის, მარცინკევიჩს, აგაფონოვს და სარქის და ავეტიქ მნაცაკანოვებს. ბაქოს ოლქის სასამართლომ, განიხილა-რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო და გარდაუწყვიტა ლუნევსკისა და სალახოვს ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წლის ვადით გაგზავნა და აგაფონოვსა და ავეტიქ მნაცაკანოვს—რვა-რვა თვით ციხეში დაპატიმრება. სამოქალაქო სარჩელის დასაკმაყოფილებლად ფითოევის სასარგებლოთ ბრალდებულთ უნდა გადაეხადათ 30,000 მ. ბრალდებულთ საქმე გადმოიტანეს ტფ. სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა 5 და 6 ივნისს. სამოსამართლო პალატამ ამ საქმის შესახებ თვისი განაჩენი გამოაცხადა გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე; მან დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი და გარდაუწყვიტა: ლუნევსკის ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა რაზმში 2 წლისა და 3 თვის ვადით გაგზავნა, ალიხოვსკის—1 წლის ვადით, ხოლო მნაცაკანოვისა და აგაფონოვის შესახებ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განჩინება.

◆ კავკასიის სამთო მმართველობამ შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ მიეცეს მას 8000 მან. **კერძო მემამულეთა დასაჯილდოვებლად**, რომელთაც მიწები ჩამოერთვა ბათუმ და არდაგანის შუა გზატკეცილების გაყვანად.

◆ სოფ. ნებითი-ქრისტიანიდან (კავკავ. მაზრა) გვწერენ, რომ იქ ამ ჟამად **წითელა და ყელჩირვება** გავრცელდა და ბევრი ბავშვიც იმსხვერპლა. გადამდებ სენის გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ოსის ქალები სრულიად არ ერიდებიან ავადმყოფთა და მიცვალებულთ და გადააქვთ სენი სახლიდან სახლში.

◆ ჩვენ მოგვივიდა **ახალი ქართული წიგნაკი** „დალერლილი სიმინდის ნ[illegible]ურჩალა მარცვლიანათ", ნათარგმნი და გამოცემული პ. ზ. საკაშვილის მიერ. ნახევარი წმინდა შემოსავლისა ამ წიგნაკებიდან გადაიდება თავ. რაფ. ერისთავის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად. წიგნაკი გამოცემულია ქუთაისში და ღირს ორ შაურად.

◆ დ. ჩოხატაურიდან გვატყობინებენ: ხატაურის უბანსკენ აბრეშუმის პარკე- ყიდვა-გაყიდვის საქმე უკვე დაიწყო. ლი ამინდების გამო პარკის მოსავალი ლს ნაკლებია. პარკის მყიდველები განკუთრებით თითქმის ჩვენებური ვაჭრებია ა მეაბრეშუმეების დაჩაგვრას არ მოინდოებენ, მაგრამ პირველ დღეებში-კი ნაკლეი ფასები გამოაცხადეს: ფუთ პარკში აძლევდნენ 8 მან. საზოგადო სასწორის გახსნის შემდეგ ფასმა მოიმატა. 2—3 ივნისს უთ პარკში იძლეოდნენ 11 მ. 50 კ., უმეესი ნაწილი ჩვენი პარკის მოსავლისა ვროპიული ჯიშის ყვითელი პარკია, რომელიც ფუთი 2 მან. მეტი ღირს“.

◆ დ. ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, რომ იქ პარკის ფასმა მოიმატა ამ ბოლოს როს; 2—3 ივნისს პირველ ხარისხის პარკში იძლეოდნენ ფუთში 12 მან. და 50 2 ივნის სოფ. ნიგოითში ფასებმა აიწია 3 მანეთამდე. როგორც ეტყობა, მოსავალი გურიისკენ წელს ნაკლები იქნება წარულ წლებთან შედარებით. 31 მაისიდან ლანჩხუთში დაიწყო მოქმედება საზოადო სასწორმა აქაურ მასწავლებელთა და ვა ინტელიგენტ პირთა ზედამხედველოით. ამინდი ძლიერ კარგი სდგას. მუშა ლხი ყანების მარგვლას უკვე შეუდგა.

◆ ამ დღეებში ქალაქის ვეტერინარებმა გასინეს ქალაქის მოჯიარადრეების—გვრიტიშვილის და ლაშვილის ცხენები და აღმოაჩინეს, რომ ორი ენი ქოთაოთი ყოფილა ავად; ცხენები დახოცეს სათანადო უწყებას შეატყობინეს, რომ მიღებულ მნას ღონისძიებანი ამ სენის გავრცელების წინაღდეგ.

პრესსა

ამას წინად მკითხველებს ვაცნობეთ დალოვებით ერობის ის პროექტი, რომელიც განგებო კომისიაში შემუშავდა. უმთაესი ნაკლი იმ პროექტისა, როგორც ითხველებსაც ეხსომებათ, ის იყო, რომ ზოგადოებრივი ელემენტი სრულიად განვენილია და მთელი საქმე ისევ ადმინირაციის ხელში რჩება. ამ პროექტს რულმა გაზეთებმა ჩინებული სახელი უწოს კიდეც «проектъ антиземской реформы». ზეთები ახლა საიმედო ამბავს გადმოგვცენ: ცენტრალურ მთავრობის წრეებში ინცა-და-მაინც კმაყოფილნი არ არიან ალის პროექტით და, მოსალოდნელია, ელმწიფო საბჭო არ მიიღებს მას და ნვე დაუბრუნებს შესასწორებლად შინა საქმეთა სამინისტროსო. ეს ასე უნდა ხდესო, ამბობენ გაზეთები, რადგანაც ანასკნელ დროს უმაღლესი მთავრობა ის ნდობით უყურებს საზოგადოებას, ემ იმ დროს, როდესაც საგანგებო კომი ადგენდა ერობის პროექტსაო. სხვათა რის, ამ საგანს ეხება გაზ. „დონსკაია “ და ამბობს:

„კომისიის მიერ შედგენილის პროექტის ხაათი სრულიად არ შეესაბამება მთავრობის მირთულებას ბოლო ხანში; მთავრობა ეხლა ნდოით უყურებს საზოგადოებას, პროექტი კი უწინებურად გმობს საზოგადოებრივ ელემენტს და ნ აყენებს ადმინისტრაციას. სახელმწიფო საბს ახალი დებულება თვით ამ უმაღლეს საიმრიო დაწესებულებაში აძლევს ადგილს საზოდოების წარმომადგენელთ („მცოდნე პირთა წვევა“); საერო განათლების სამინისტრო საგადოებას სთხოვს დახმარებას სწავლა-განაების საქმის რეფორმაში; საშუალო სკოლის ფორმის განხილვა განზრახულია გადასცენ ერობსა და საქალაქო საბჭოებს. ყველა ეს და სხვა ქტებიც ამტკიცებენ, რომ მთავრობას სწამს ოგადოების ძალა, ნდობით უყურებს მის მოწეობას. ამის გამო, მოსალოდნელი უნდა ყოლიყო, რომ საერობო პროექტის შკითხველნი რედ ერობაში, ესე იგი, იმ დაწესებულებაში, ც საზოგადოებრივ ელემენტს დიდი მნიშვნება აქვს, თვალსაჩინო ადგილს დაუთმობდნენ ოგადოებას და ამით განამტკიცებდნენ თვითთველობის პრინციპს. საგანგებო კომისიის დაწილება საბოლოო არ არის; პროექტმა უნდა ლოს დაწესებულის გზა და ბოლოს სახელმწიბაჭოს უნდა წარედგინოს. უნდა ვიფიქროთ, სახელმწიფო საბჭო, რომელიც არა ერთხელ გამოსულა საზოგადოების დამცველად, ახლაც წინააღუდგება პროექტს.“

⁂

ყველა რუსული გაზეთი როდია ასეთი მტკიცე დამცველი თვით-მმართველობის პრინციპისა! „მოსკოვ. ვედომ.“-ი, მაგალითად, სულ იმის ცდაში არიან, რომ, რაც შეიძლება, შეზღუდულ იქმნას საზოგდოებრივი ინიციატივა და თვით-მმართველობა. ამ ცდაში გაზეთი იქამდინაც მივიდა, რომ სოფლის მწერლებსაც მისწვდა. სოფლის მწერლები მეტად დამოუკიდებელნი არიან ადმინისტრაციისაგანაო (sic!) და სოფლის საზოგადოების სრულს განკარგულებაში არიანო; საჭიროა, ადმინისტრაციას მიენიჭოს მეტი უფლება და სოფლის საზოგადოებას ჩამოერთვას ძალა ამ საქმეშიო. ამ საოცარ მოსაზრების გამო გაზ. „ნოვოსტი“ შენიშნავს:

„კიდევ ცოტა და „მოსკოვ. ვედომოსტი“, ნებითა ღვთისათა, შეთხზენ პროექტს, რომ რუსის ქვეშევრდომს აღარ ჰქონდეს ნება თვით აირჩიოს თავისთვის ცოლი და საცოლე ქალს ადმინისტრაცია დაუნიშნავს ყველას“.

შინაური ფრინველის მოშენება საქართველოში

რამდენიც დრო გადის, საქონლის ხორცი იმდენი უფრო ძვირდება. ამას მოსდევს სიძვირე ფრინვლისა: ქათმისა, ბატისა, ინდოურისა და სხვა.

წინად კარგს ძროხის ხორცს შვიდ კაპეიკად ვყიდულობდით გირვანქას, გასუქებულ დედალს 40—45 კაპ., ეხლა-კი კარგი ძროხის ხორცი სულ არ იშოვება, უვარგისი-კი 10—12 კაპეიკია და კარგი დედალი 70—80 კაპ... ქალაქის თვით-მმართველობა და პოლიცია ყოველ გვარ საშუალებას ხმარობენ, რომ როგორმე იაფად გააყიდინონ ხორაგი, მაგრამ მათი ცდა რჩება ცდად: ხორცეულობა მაინც ძვირია. ეს ხდება საქართველოში—იმისთანა ქვეყანაში, რომლის ჰავა და მდებარეობა იმდენად ხელშემწყობია საქონლისა და ფრინვლის მოსაშენებლად, რომ ჩვენ შევიძლებთ დაკმაყოფილებას არამც თუ აქაური მცხოვრებლებისას, არამედ სხვა ქვეყნებშიაც ბევრს გავიტანთ, ცოტა ოდნავ მაინც რომ მშრომელი ხალხი ვიყოთ და გაჭრობას მივდევდეთ... თუმცა ჩვენი მეზობლები მისდევენ ვაჭრობას, მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით ისევ სოფლელს შეჰყურებენ ხელში, ე. ი. მწარმოებელნი ჩვენა ვართ; ჩვენი მეზობლები-კი შუა კაცები არიან ჩვენს და მომხმარებელს შორის, მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიყვნეთ დამძვირებელიც და გამაიაფებელიც ამ მეტად ბაზრიანის საქონლისა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ასე არ არის.

საქართველოს დიდი ხალხი მოაწყდა და მოთხოვნილებამ იმატა, სოფლებმა-კი წარმატებას არ უმატა; არ შეუდგა მოშენებას, გამრავლებას არც მსხვილ-ფეხა საქონლისას და არც ფრინველისას და, თუმცა ამ მიზეზების გამო სოფლელი, როგორც მწარმოებელი, მეტ ფასს უნდა თხოულობდეს თავისს საქონელში, მაგრამ უვიცობისა და გაჭირვებულ მდგომარეობის წყალობით, მას ფასი არ მოუმატებია თავის ნაჭირნახულებისათვის. იკითხეთ საქართველოს ყოველ კუთხეში და ჩემის სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებით...

ეხლა იკითხავთ: მაშ რა მიზეზია, რომ ტფილისში ხორაგი ასე დაძვირდაო.—ის მიზეზია, რომ ჩვენ ნაცარქექიები შევიქენით, ქარის წისქვილებს ვებრძვით და ამით „შუა კაცები“ ისე წაქეზდნენ, ისე გათავხედდნენ, რომ ჩვენს ნაშრომში მხმარებელს ერთი ათად ართმევენ ფასს და ჩვენ-კი, მწარმოებელს, ჩვენი შრომის ფასსაც არ გვაძლევენ.

ამ ვაჟბატონების თავგასულობა მართლა რომ ადამიანის სისხლის ამმღვრევია: საშუალო შეძლების კაცი მათგან კარგს, ახალს, გაუხრწნელს ვერას იყიდის და როდესაც მდიდრების ლოდინში სანოვაგე დაუძველდებათ, მაშინ ცოტა აკლებენ ფასს, მაგრამ მაშინაც მათგან ყიდვა რისამე მეტად ძნელია, რადგან სავაჭროს თუ ან დაუწუნებთ, ან თუ მისგან დადებულ ფასზე ნაკლებს შეაძლევთ—უეჭველად შეურაცხყოფას მოგაყენებენ აულაგმავი შუაკაცები—ჩარჩები—და მაინც თავისგან დადებულ ფასათ მოგყიდიან; ამ გვარად მოგებაში არიან მარტო შუაკაცები და თვალსაჩინოდ ასუსტებენ მწარმოებელს მატერიალურად და მხმარებელს—ფიზიკურადაც.

როგორც მსხვილ-ფეხა საქონლის მოშენება, ისე ფრინვლისა მეურნეობის ერთი ნაწილთაგანია. მეურნეობას ჩვენ მივდევთ, მაშასადამე, ამ მეტად სასარგებლო საქმისათვის ჩვენ უნდა მიგვექცია ყურადღება, მაგრამ ჩვენ მამა-პაპურად წამოვწოლილვართ მხარ-თეძოზე, ჯერ ისევ ბურანში ვართ და, როგორც ნიშნები სჩანს, მთელი მეურნეობა, ეს ერთად ერთი-ღა სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, სხვების ხელში გადადის. ჩვენმა მეზობლებმა ამ საქმეშიაც ისეთი ჩქარი და გაბედული ნაბიჯით დაიწყეს წინ სვლა, რომ შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვით: ხუთის ან ათის წლის განმავლობაში ჩვენი ყველაფერი მათ ხელში გადავა. მაშინ ჩვენ რაღა დაგვრჩება?—ის, რომ ავიხვიოთ თვალები და მათ მივეცეთ ყმად, გავხდეთ იმათი ხელში შემაცქერალნი ისე, როგორც ისინი იყვნენ ჩვენი შემომცქერალნი ოდესმე.

ამაზე მეტს დროს აღარ დაგაკარგვინებთ ლაპარაკში და მოკლედ მოვჭრი.

მსხვილ ფეხა საქონლის მოშენება, აგრეთვე ფრინვლისა ძალიან ადვილია; ამისათვის საჭიროა ცოდნა, შრომა, მალიან პატარა თანხა და მოთმინება. მომშენებელს შრომა მეტის მეტად უფასდება...

ხუთმეტის წლის წინად რუსეთს მარტო 5—6 მილიონ მანეთის კვერცხი და ფრინველი გაჰქონდა საზღვარ გარეთ გერმანიაში, ინგლისში და სხვ. ეხლა გააქვს 50—55 მილიონისა. რუსეთის ჰავა რომ შევადაროთ საქართველოს ჰავასთან, ჩვენ ამაზე ბევრით მეტს უნდა ვგზავნიდეთ, მაგრამ, შეხედეთ ჩვენს უკუღმართობას! ჩვენ ჩვენი სამყოფიც არ მოგვეძევება...

მთელი საქართველოს მინდვრები, ტყეები რომ ერთ უზარ-მაზარ საქათმედ ვაქციოთ, მაშინაც ვერ დავაკმაყოფილებთ ევროპის მოთხოვნილებას; ყოველ დღე რომ ორმოცი და სამოცი ვაგონი ვგზავნოთ კვერცხითა და ფრინვლით დატვირთული, მაშინაც მაზანდა არ დაეცემა, ოღონდ კვერცხიც და ფრინვლის ხორციც მაღალის ხარისხისა იყოს. და ეს უკანასკნელი ხომ ძნელი არ არის.

რუსეთი, როგორც ზევით მოვიხსენიე, 55 მილიონ მანეთის კვერცხსა და ქათამსა ჰგზავნის საზღვარგარეთ, მაგრამ, როგორც კვერცხი, ისე ქათამი ძალიან დაბალის ხარისხისაა. კვერცხი წვრილია და ქათმის ხორცი უგემური, ამისათვის ძალიან იაფად იყიდება. დაბალის ხარისხისაა იმიტომ, რომ რუსეთის მწარმოებელი ეძებს ძალიან ადვილად მოიგოს ფული: ბევრს ქათამს ინახავს და ბევრი ქათამი, რასაკვირველია, ბევრს კვერცხსაც სდებს და ბევრს წიწილსაც ზრდის; ბევრს ჰყიდის, ბევრსაც იგებს. ამასთანავე თუმცა იქვე ჰხედავს, რომ სხვაქვეყნების კვერცხი და ქათამი იმისაზე მეტად იყიდება, ამის მიზეზიც ესმის, მაგრამ მაინც არ უნდა შრომას უმატოს, არა ცდილობს გააუმჯობესოს ქათმის ჯიში, არ უვლის და არ ინახავს ისე, როგორც რიგია. ზანტი, გონებით ბეცი, თვალითა ჰხედავს, რომ სხვები ათ კვერცხში იღებენ იმ ფასს, რასაც ის იღებს ასში, მაგრამ, დიდი მოგებით დაბრმავებული, ამ გარემოებას ყურს არ უგდებს.

ჩვენ რომ დავიწყოთ ქათმის ჯიშის გაუმჯობესება, გამრავლება და ვაჭრობა—პირველ ადგილს დავიჭერთ მსოფლიო ბაზარში და 200—350% მოგვიტანს თანხა. ამის თავმდებია ჩვენი მიწა-წყალი და ჰავა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ „სოფლელს“ ამას ვერ გააგებინებთ და ცრუ ინტელიგენტებს სიცილს მოჰგვრით და თუ პირში ვერას გეტყვის—ყველას ჩუმათ თითით უჩვენებს შენზე: ამან მექათმეობა უნდა დაიწყოსო. დიახ, ბატონებო, ჩვენდა საუბედუროთ და სხვისა საკეთილდღეოთ, საბედნიეროთ, ჩვენ, ქართველებს არ შეგვშვენის არც მექათმეობა, არც მენახირობა, არც მებაღეობა და არცარა რაიმე... რაც მატერიალურად ჩვენს ცხოვრებას გააუმჯობესებს, ერთის სიტყვით, გამოდის, რომ კეთილი საქმე, კეთილი ცხოვრება, ბედნიერება შეჰშვენის არა ქართველებს; მაშასადამე, ქართველებს რა შეჰშვენის?—შიმშილით სიკვდილი?!

ბევრისათვის მითქვამს: რატომ ქათმის მოშენებას არ მისდევ მეთქი და ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიმიღია: „ქათამმა ჭირი იცის და ერთს დღეს გამიწყდებაო“. არ ვიცით, ერთი ვისგანმე გაუგონიათ ეს სიტყვები და ყველა ამას იმეორებს უაზროთ, თუ მართლა უნახავთ ცხოვრებაში. მე უფრო მგონია, რომ დაუფიქრებლად ისვრიან ამ სიტყვებს, თორემ თუ-კი თავის სიცოცხლეში ფიქრობენ ცხოვრების რაიმე მოვლენაზე, თუკი ამ დასაკვნამდე გამოცდილებამ მიიყვანა, მაშ რატომ ის-კი არ იფიქრეს, რომ „ჭირი იცის“ ადამიანმაც, საქონელმაც, ვაზმაც, ხეხილმაც და ყოველმა სულდგმულმა და უსულო არსებამ... სხვა არსებათა ჭირთან რომ შევადაროთ, „ქათმის ჭირი“ ჭირათ არ ჩაითვლება, რადგან მას უებარი წამალი აქვს და გამოცდილ პატრონს არავითარს ზარალს არ აძლევს....

თუ ვისთვისმე საინტერესოა გაიგოს რამდენად სასარგებლოა და მასთან ადვილი ქათმის მოშენება, ჯიშის გაუმჯობესება და მით ვაჭრობა, ვთხოვთ, მობრძანდნენ დღეს, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, თეატრის დარბაზში.

ალ. ნე—ძე

კიდევ ენის შესახებ

ბ-ნი მ. გობეჩიას წერილის „ლიტერატურული უმოძრაობა“-ს გამო. (ივერია 1901 წ. № 70).

I

დასახელებული წერილით ბ-მა მ. გობეჩიამ ერთხელ კიდევ მოგვაგონა ლიტერატურული ენის უქონლობა და თვით ლიტერატურის უმოძრაობა. მიგვითითა ქართული ჟურნალ-გაზეთების მართლ წერაზედ, აღნიშნა შეცდომები: „მოხუცებულის კაცისა, მოხუცებული კაცისა, მოხუცებულ კაცისა“, ტფილისი, თბილისი, თფილისი. „წავიდნენო, წავიდენო“, ე. ი. აღნიშნა, რომ ზედშესრული სახელი არსებითთან სხვა და სხვა მწერალს სხვა და სხვა ნაირად შეუქსოვია, რომ ზმნები სხვა და სხვა მწერლისაგან სხვა და სხვა სისრულით არის ხმარებული. ამასთანავე ბევრჯელ ნათქვამ მიზეზებს გვიმეორებს; „ენა მაშინ შემუშავდება სრულიად და გამდიდრდება, როცა გამოკვლეულ და აღბეჭდილ იქნება ძველი მწერლობის და ხალხის გონების ნამოქმედარი—ხალხური პოეზია“ მართალია, ძველი მწერლობის და ხალხის გონებითი ნაწარმოების გამოკვლევა და აღბეჭდვა საჭიროა, მართალია, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ზედშესრულის სახელის არსებითთან შექსოვა და ზმნების სისრულით ხმარება სხვა და სხვა ნაირია, მაგრამ პირველი კი არ არის მეორის შედეგი და არც პირველი გაასწორებს მეორესა. ძველ მწერლობაშიაც მრავალს შეჰხვდებით ზედშესრულის და სახელი არსებითის სხვა და სხვა ნაირად შექსოვას, ზმნების სხვა და სხვა სავსებით ხმარებას, სიტყვების სხვა და სხვა მართლ-წერით. ლიტერატურული ენა რომ უძლურდებოდეს, რუსული ლიტერატურული ენა უძლურად ჩაითვლებოდა, აგრეთვე ფრანგული და სხვა. საჭირო არ არის დასახელება რუსეთის სხვა მწერალთაგან და თვით გრამატიკოსთაგან სიტყვების სხვა და სხვა მართლ-წერით ხმარება. საჭიროა მხოლოდ მოვიგონოთ, რომ ეს რუსული

ლიტერატურული ენის სიძლიერეს არ უშლის. ენის შემუშავება და გამდიდრება ხალხის იმ ნაწილზეა დამოკიდებული, რომელიც ხალხის გონებითს სანათურს ატარებს. თუ ჩვენი ლიტერატურული ენა უძლურია, შეუმუშავებელია, ღარიბია, ეს იმისი ბრალია, ვისაც ცოტა თუ ბევრი სწავლა მიუღია და სამშობლო ენაზედ კი ხელი აუღია. კარგად მოგეხსენებათ, ლიტერატურული ენა მაშინ იზრდება შემუშავებულად და მდიდრად, როცა იმ ენით ყველა ნაირი აზრის გამოხატვა ადვილად შესაძლებელია.

ამას წინათ ტფილისში დავესწარი საბანკო კრებას. იქ იყვნენ მრავალნი უმაღლესად განათლებულნი. იქავე იყვნენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის წარმომადგენელნი. კრებაზედ სჯა-ბაასი სწარმოებდა უცხო ენის საშუალებით, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას კითხულობდნენ. სხვათა შორის, ირჩეოდა რჩევის წევრების შრომის ჯილდოს რაოდენობა. კრება ორად გაიყო: ზოგნი თხოულობდნენ, რომ ჯილდოდ მისცემოდათ რჩევაზე თვითეულ დასწრებისათვის 5—10 მან., ზოგნი კიდევ თხოულობდნენ, რჩევის წევრებს ზოგადად დაჰნიშნოდათ 300—500 მან. და ურთი-ერთ შორის თვით გაენაწილებინათ. როცა საქმე კენჭზე მივიდა, ერთმა წევრთაგანმა ითხოვა ქართულად გადაეცათ მისთვის, რაზეა კენჭის ყრა. ადგა ერთი გამგეობის წევრი, უნდა გადაეთარგმნა, სიტყვა ყელში გაეჭედა და დაეცა სავარძელზე; წამოდგა მეორე, რომელიც უცხო ენაზე საუკეთესო მჭერმეტყველად არის ცნობილი, დაიწყო თარგმნა, დაეკარგა სიტყვები, ეძება, ეძება, ორჯერ ხელი ჯიბეშიაც ჩაიყო, მაგრამ ვეღარ იპოვა და ისევ თავისი ადგილი დაიჭირა; აღარც სხვებმა იკისრეს გადათარგმნა და დარჩა მთხოვნელი დაუკმაყოფილებელი. დამსწრე საზოგადოებამ სამჯერ გულიანად გადიხარხარა და უყარა კენჭი საკითხს. დავესწარი მეორე ალაგსაც, სადაც ახალგაზდობა შეყრილიყო და სჯა-ბაასობდა ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ერთმა უმაღლესად განათლებულმა ახალგაზდამ ამ სჯა-ბაასის დროს ითხოვა ნება უცხო ენაზე ლაპარაკისა. ამისთანა შემთხვევები აქაც და ყველა საქართველოს კუთხეში დღე-მუდამ უთვალავია. მე მოვიყვანე მაგალითი ტფილისის ცხოვრებიდან, რადგანაც იქ არის კუჩილი ჩვენთა წარჩინებულთა, ამათგან უნდა იკვალებოდნენ და მიიმართებოდნენ თვით ცნობიერების გზანი.

II

. . .

III

ვინა ჰყავს ახალს მწერლობას მკითხველი? ამ საკითხის პასუხად თუ ავიღებთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერთა რიცხვს, ისიც ისეთი მცირეა, რომ, შედარებით, არარაობას წარმოადგენს და თუ დაუმატებთ, რომ ხელის მომწერთა რიცხვის ნათთ არიც არ არის მკითხველთა რიცხვი, მაშინ ხომ მართლა არა-რაობა იქმნება. აქედან ერთად-ერთი და დიდად სამწუხარო დასკვნა გამოდის: ჩვენი ინტელიგენცია არამც-თუ სასაუბრო ენად არა ხმარობს დედა-ენას, ამავე ენაზედ ლიტერატურასაც არ ეტანება. ამას, მგონია, არც ციფრების და არც მაგალითების მოყვანით დამტკიცება არ უნდა. მაშ ვისთვის უნდა აღიბეჭდოს ძველი მწერლობა და ხალხის გონებითი ნაწარმოები—პოეზია? თუ ქართული ენა მსჯელობის იარაღად არ იხმარება, თუ თანამედროვე მწერლობა არ იკითხება ინტელიგენციისაგან, ვინღა წაიკითხავს ძველ მწერლობას და ხალხურ გონებით ნაწარმოებს? ახლ აცა გვაქვს აღბეჭდილი „ვისრამიანი", „ამირან დარეჯანიანი" და სხვა. აბა იკითხეთ რამდენი ეგზემპლიარი დაიბეჭდა და რამდენი გაყიდულა? სამწუხაროდ, გულსაკლავ პასუხს მიიღებთ...

საკმარისია ისიც, რაცა ვსთქვით. დედა-ენა, ვიდრემდის „საყველ-პუროს" ფარგლიდან არ გამოვა, არ გამდიდრდება და არც განვითარდება. დედა-ენა ხმარებაში უნდა იყოს, რომ წინ-სვლა დაეტყოს.

ნადიკვრელი.

პროვინცია

სოფ. მარტყოფი (ტფილისის მაზრა). აპრილის 15-დან დაწყებული განუწყვეტელი წვიმა მოდის, რომელმაც შეაჩერა ვენახების მუშაობა და ანეულების ხვნა. წელს არა სანატრელი პირი უჩანს მინდვრის მოსავალს: ჯერ იყო, წარსული ზამთრის უთოვლობამ ძალიან შეავნა, ახლა გაზაფხულის ხშირმა და განუწყვეტელმა წვიმამ უარესი დამართა და თუ მოვიდა რამე, თაგვმა სულ ბოლო მოუღო; ბევრს აადებინეს ხელი დიდს და უშველებელს ოოდაბუსებზე, ბევრს კიდევ აადებინებენ ხელს ამ მოკლე ხანში. ქერი გაათავეს და ახლა პურს მიჰყვეს ხელი. თაგვები თანდათან მრავლდებიან და, რასაკვირველია, ჭამასაც უმატებენ დღე და დღე; დაღონებულნი შეჰყურებენ თავიანთს უჩინარს მტერს გლეხები და ვეღარა გაუწყვიათ-რა. ეს, როგორც მე მახსოვს, ამ ოცი წლის განმავლობაში მესამედ დაზარალებულა მარტყოფის მინდვრები. აღარ იციან ვის მიჰმართონ გლეხებმა და ან რა ღონე იღონონ, რომ ეს ერთად-ერთი სახსარი ცხოვრებისა არ გამოეცალოთ ხელიდან.

ამ ოთხ-ფეხა თაგვების ხარჯის კრებას თან მოჰყვა 1 სხვა, მსხვილი ორ-ფეხა თაგვების ჯარი და, რასაკვირველია, ესენი უფრო ცხადად და დაურიდებლად თხოულობენ გამასპინძლებას. ხალხიც ძალიან სტუმართ-მოყვარე გახლავთ და რაც კი შეუძლიან, უხვად უმასპინძლდება. და ან რას იზამთ, როდესაც ასეთნი ძვირფასნი სტუმარნი გეწვევიან, თუ ქართველურად არ გაუმასპინძლდები! თუმცა რიცხვი ამ ორფეხა თაგვების ჯარისა სულ მცირეა, მაგრამ ისეთი შიშის ზარი დასცეს ამ უშველებელს სოფელს (800 კომლია), რომ ხმა ვერავის ამოუღია მათ წინააღმდეგ. აი, საქმე რაშია: მამასახლისმა ამოირჩია სოფლიდან ოთხი გლეხი კაცი ღამის დარაჯებათ, უნდა იარონ ღამე სოფლის გარეთ და უდარაჯონ სოფელს, როგორც ქალაქებშია. მათთვის სრული უფლება მიუციათ—ითარეშონ დღეც და ღამეც, ღამე, როგორც, ვითომ, ღამის დარაჯნი და დღე, როგორც სისუფთავის და წესიერების დამცველნი და ჩაიდინონ ყოველივე, რაც კი სვინიდისის და კანონის წინააღმდეგია. ასე ამბობენ ისინი—ჩვენ «აბხოტეიი» და «სანისტარები» ვართ და ვაი იმას, ვინც არ დაგვემორჩილებაო.

დიდი ხნის ლოდინი გაგვიმართლდა და ამ ცოტა ხანში გაიხსნება ქსენონი ჩვენს სოფელში, რომლისთვის შენობა უკვე დავიქირავეთ.

აკრიასელი.

საღამოს დეპეშები

6 ივნისი.

პეტერბურგი. რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი გამოუთქმელი მოწყალებით და სიყვარულით აღსავსე ლმობიერებით უყურებს მოსწავლე ახალგაზდობის შეცდომებს, ამიტომ 1901 წლის 1 ივნისს უმაღლესად კეთილ ინება და ბძანა: 1) იმპერატორის უნივერსიტეტების სტუდენტები, რომელნიც ამ სასწავლებლებიდგან უწესოებაში მონაწილეობის მიღებისათვის დაითხოვეს და დასასჯელად ამ ჟამად სამხედრო სამსახურს ასრულებენ და რომლებსაც 1 ხარისხის შეღავათი აქვთ ოჯახის მდგომარეობის გამო, ანუ ისეთი ფიზიკური ნაკლულევანება აქვთ, რომ არ შეუძლიანთ ჯარში ყოფნა, ეხლავე უნდა დათხოვნილ იქმნენ სავალდებულო სამსახურიდან; 2) ყველა დანარჩენ სტუდენტებს, რომლებიც ამ ჟამად სასჯელის მაგივრად სამხედრო სამსახურს ასრულებენ, უნდა დაუბრუნდეს ის სამხედრო სამსახურის უფლებანი, რომლებიც ჰქონდათ, იმის მიუხედავად, თუ რამდენი ხნით აქვთ გადაწყვეტილი ჯარში სამსახური; 3) კანონის მიუხედავად, ყველა იმ სტუდენტებს, რომლებიც ეხლა სამხედრო სამსახურს ასრულებენ სასჯელის მაგივრად, სამსახურის ვადა უნდა დაეთვალოსთ ამ თვის პირველი რიცხვიდან, როცა სამსახურში შესულან.

პეტერბურგი. რადგანაც ამ ბოლოს დროს შაქრის ფასმა განსაზღვრულს ფასზე—4 მან. 50 კაპ.—ზევით აიწია, ამიტომ ფინანსთა მინისტრმა საჭიროდ სცნო ნება დართოს, რათა შინაგან ბაზარში შაქრის თავისუფალი სამზადისიდან 1.500,000 ფუთი შაქარი გაიყიდოს, ხოლო ხელუხლებელი სამზადისიდან 500,000 ფუთი შაქარი გაიყიდოს, ამასთანავე ხსენებული ორი მილიონი ფუთი თავისუფალ შაქარს უნდა მიეთვალოს.

შავი ჭირის წინააღმდეგ მომქმედი კომისია აცხადებს, რომ მთელ ეგვიპტეში, პორტ-საიდისა, სუეცის არხის და სუეცის გარდა, შავი ჭირია გაჩენილი.

არხანგელსკი. გაზაფხულის ნათესობას კარგი პირი უჩანს. თევზს ფასი აკლდება.

პარიზი. პალატამ დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ განხილულ იქმნეს იმ პროექტის მუხლები, რომელიც შრომისათვის უვარგის მუშების უზრუნველ ყოფას შეეხება. ამ დადგენილებაზე წინეთ ფინანსთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და ამტკიცებდა, რომ ამ პროექტით გამოწვეული ხარჯები თანხამ უნდა გაისტუმროსო, შემოსავალი ხარჯზე მეტი იქნება და ამიტომ ახალი გადასახადების დაწესება ამ პროექტის განსახორციელებლად საჭირო არ იქნებაო.

იოკაგამა. იაპონიის კონსული კორეიდან, მოკპოდან იუწყება, რომ ამას წინად კველპარტში უწესოება მკვიდრებმა მოახდინესო; უწესოების დროს 500 მკვიდრი მოკლესო. იაპონიის და საფრანგეთის გემები ჯერ კიდე კველპარტში იმყოფებიანო.

კონსტანტინეპოლი. ავსტრ-უნგრეთის ელჩი კალიჩე გუშინ სულტანმა მიიღო აუდიენციით; იმპერატორი ფრანც-იოსების მინდობილობით, ელჩმა მადლობა გადაუხადა სულტანს მისთვის, რომ ავსტრიას ნება მისცა ეფესში ღირს შესანიშნავი სიძველენი მოეთხარათ და ეგრეთვე მისთვისაც, რომ ეფესში ნაპოვნი ნივთები სულტანმა ავსტრიას უძღვნა საჩუქრად. ამ მადლობის გადახდის შემდეგ ორივე ხელმწიფემ ერთმანეთს მეგობრული გრძნობანი გამოუცხადეს.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ჯოზეფი ჰკითხულობს, ინგლის-გერმანიის შეთანხმების ძალით, გერმანიას მართლა ისეთივე უფლებანი და უპირატესობა მიეცა, როგორიც ინგლისსა აქვს იანძეს ველში რკინის გზების საქმეში, თუ არაო. კრანბორნი უპასუხებს, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმების ძალით, ვაჭრობა და ყოველი ნება-დართული ეკონომიური მოქმედება იმ ნავთ-სადგურებში, რომლებიც ჩინეთის მდინარეებზე და ზღვის პირებზე მდებარეობენ, ყველასათვის ნება-დართული უნდა იყოს ყველგან, სადაც ორსავე მთავრობას გავლენა ექნებაო.

დეპუტატთა პალატამ მესამე წაკითხვის შემდეგ დაამტკიცა კანონ პროექტი მეფის სასახლის ჯამაგირის შესახებ.

მოლტენო. უკანასკნელის ცნობებით, კაპის ახალშენში 1800 შეიარაღებული ბური იმყოფება; ესენი ახალშენის შუაგულში არიან და რვა ცალკე რაზმად არიან გაყოფილნი, თითო რაზმში 60—300 კაცია. კრუიცინგერი და ფუშე ყველგან პროკლამაციებს ავრცელებენ, რომლებშიაც აცხადებენ შემდეგს: რადგანაც ოცის თვის წინად მინდობილება მიიღეს, რომ კაპის ახალშენის ჩრდილოეთი პროვინციები ორანჟეს რესპუბლიკას შეუერთონ, ამიტომ ეხლა აცხადებენ, რომ ყველას, ვინც ინგლისელებს ცნობას მიუტანს რომელიმე რაზმის შესახებ, 50 გირვ. სტერლინგი ჯარიმა გადაჰხდება, და, თუ ვინიცობაა, ამის გადახდა ვერ შეიძლო, მოსალოდნელი იქნება სამი თვის განმავლობაში ფეხითა სდიოს ბურების რაზმსა. სამხედრო წრეები იმ აზრისანი არიან, რომ ცხენების გამოგზავნა კიდევ საჭიროაო, რადგანაც თითონ ახალშენში ცხენები სწრაფად ილევაო. ბურებთან ახალი ჯარის კაცები მოდიან, ხოლო ცოტა კი.

ბუხარესტი. აქ სრულებით არაფერი არ იციან, იმის შესახებ, ვითომ მეფე კარლოსს განზრახვა ჰქონდეს ათინაში წავიდეს. რუმინიის ოფიციალურ წრეებშა არცარა იმის შესახებ იციან, რომ საბერძნეთის მეფეს ბუხარესტში მოსვლა ეწადოს.

კუქსგაფენი. იმპერატორი მოვიდა აქა, რათა გემების გაჯიბრებაში მონაწილეობა მიიღოს. სიმაგრეებში და ნავთ-სადგურებში დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულის პატივსაცემლად ზარბაზნები დასცალეს.

კანეია. უმთავრესმა კონსულებმა შეატყობინეს ბატონიშვილს გიორგის, რომ სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ კუნძულ კრიტის ეხლანდელი მდგომარეობა შეუცვლელად დაიცვანო.

პეტერბურგის ბირჟა 5 ივნისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,50
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	373½ მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	301½ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	220 „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89¼ გამყიდვ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	91¼ გაყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	92 „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) ქუთაისიდან ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 4 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.